გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 200

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრისთვის (ს/ნ 218016420) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის 2024 წლის 15 ოქტომბრის N167 წერილის საფუძველზე დადგა საკითხი, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქუჩა N 20ა-ში მდებარე ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ერთ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა.

ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრში 2003 წლიდან ფუნქციონირებს სხვადასხვა შშმ პირთა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო სასწავლებელი. დღის ცენტრი და ბავშვთა ადრეული განვითარების და აბილიტაცია/რეაბილიტაციის ცენტრი. ორგანიზაციაში მოზარდებისთვის მოქმედებს სხვადასხვა პროფესიული სასწავლო სახელოსნოები, როგორიცაა: სოციალური საწარმო, თიხისა და კერამიკის, ტიხრული მინანქრის და სამკერვალო მიმართულებებით. სადაც დასაქმებულები არიან ორგანიზაციის ბენეფიციარები. დღეის მდგომარეობით, ორგანიზაციაში სწავლობს და რეაბილიტაციას გადის 85 შშმ ბავშვი.

დღის ცენტრების ფუნქციონირებისთვის და სოციალური პროექტების გასაგრძელებლად, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქ. N20ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი N 66.45.15.224

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრს (ს/ნ 218016420) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქ. N20ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართობი - 2799 კვ.მ) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N 1; N 2 (ფართი 883.70 კვ.მ) საკადასტრო კოდი N 66.45.15.224;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**